ხობის მოამბე

№9 (7134) 31 ივლისი,
შაბათი, 2021 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ძველი ხიბულის წმინდა ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა

ღვთისმსახურებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ძველ ხიბულაში ტაძარი, სამრეკლო და სამრევლო სკოლა ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით შენდება.

ძველ ხიბულაში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს.

„სოციალური დახმარების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილება შევიდა

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მთავრობისთვის მთავარ გამოწვევად რჩება. მოქმედებს სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ორგანიზებული და მისი მეთვალყურეობით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა და მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ეს სისტემა მუდმივად განახლებადია მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2021 წლის 30 ივნისს საქართველოს მთავრობის 315 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 145 დადგენილებაში.

ამ ცვლილებით ოჯახებისთვის, რომლის სარეიტინგო ქულა 120001–ზე ნაკლებია–საარსებო შემწეობა განისაზღვრა 100 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

დადგენილება ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისიდან. ამრიგად, სარეიტინგო ქულის ზედა ზღვარი ოჯახებისთვის, ოჯახის წევრი 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საარსებო შემწეობის მისაღებად გახდა 120001, ნაცვლად 100001–ისა, ხოლო 16 წლამდე ბავშვებზე გასაცემი საარსებო შემწეობა გახდა 100 ლარი, ნაცვლად 50 ლარისა. ეს ცვლილება შეეხო ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 985 ბავშვს. სულ ჩვენს მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებია 1085 ოჯახი 4111 ოჯახის წევრით.

ჩვენი განყოფილება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური სერვისები დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს ბენეფიციარებს. ვისურვებდი, რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ყოფილიყოს საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების შემცირების საფუძველი.

როლანდი ჯიქია,
სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსი.

გილოცავთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აღიარებას!

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით__კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა!

ნიშანდობლივია, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ჩვენ ვიცავთ საქართველოს ბუნებას!

კოვიდ-19

„დაიცავით თქვენი და გარშემო მყოფთა უსაფრთხოება“

ნიღბების საშუალებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ვირუსის სხვა ადამიანებზე გავრცელება იმ პირისგან, ვისაც ნიღაბი უკეთია. მხოლოდ ნიღბები ვერ დაგვიცავს COVID-19-სგან და მათთან ერთად უნდა დავიცვათ ფიზიკური დისტანცია და ხელის ჰიგიენა.

ამ ბოლო დროს, საქართველოში კორონავირუსის ე.წ. დელტა + შტამი დაფიქსირდა.

COVID-19-ის გამომწვევი ვირუსი ძირითადად გადაეცემა წვეთებით, რომლებიც წარმოიშობა ინფიცირებული ადამიანის ხველების, ცემინების ან ამოსუნთქვის დროს. ეს წვეთები მეტისმეტად მძიმეა იმისთვის, რომ დარჩნენ ჰაერში შეწონილ მდგომარეობაში და სწრაფად ვარდებიან იატაკზე ან ზედაპირებზე.

ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს ვირუსის შესუნთქვით, თუ იმყოფება COVID-19-ის მქონე პირის სიახლოვეს ან თუ შეეხება ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირს და შემდეგ თავის თვალებს, ცხვირს ან პირს.

COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად:

ხშირად დაიბანეთ და გაისუფთავეთ ხელები. გამოიყენეთ საპონი, ან ხელების დასამუშავებელი სპირტის შემცველი სადეზინფექციო საშუალება.

დაიცავით უსაფრთხო დისტანცია ადამიანისგან, რომელიც ახველებს ან აცემინებს.

ატარეთ ნიღაბი, როდესაც ფიზიკური დისტანციის დაცვა შეუძლებელია.

არ შეეხოთ თვალებს, ცხვირს ან პირს.

აიფარეთ ცხვირსა და პირზე მოხრილი იდაყვი ან ცხვირსახოცი, როდესაც ახველებთ ან აცემინებთ.

დარჩით შინ, თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ.

მიმართეთ ექიმს, თუ გაქვთ ცხელება, ხველა და სუნთქვის გაძნელება.

წინასწარ დარეკვა საშუალებას აძლევს თქვენს ჯანდაცვის პროვაიდერს, სწრაფად მიგიყვანოთ სწორ სამედიცინო დაწესებულებაში. ეს გიცავთ თქვენ და ხელს უშლის ვირუსებისა და სხვა ინფექციების გავრცელებას.

ადამიანებმა ამ დაავადებას გადაიტანეს მსუბუქად ანუ სიკვდილიანობის მაჩვენებელი აცრილთა შორის საქართველოში 0-ია. აცრილებმა და აუცრელებმაც უნდა დავიცვათ ის რეგულაციები, რაც მოწოდებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

მე ავიცერი, ასევე აიცრა ბევრი ჩემი ახლობელი.

მოგიწოდებთ ყველას, ავიცრათ დროულად, რათა დავიცვათ, როგორც ჩვენი, ასევე ჩვენს გარშემო მყოფთა უსაფრთხოება და დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს, ამისთვის საჭიროა, აიცრას მოსახლეობის არანაკლებ 60%.

გისურვებთ ჯანმრთელობას

შოლინა კანკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

მკაცრად დავიცვათ რეკომენდაციები

როგორც მუნიციპალიტეტის გაზეთის წინა ნომრებში აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის ივლისის თვის პირველი რიცხვებიდან გვაქვს კოვიდ–19-ით ინფიცირებულთა მატების ტენდენცია. ივლისის განვლილ პერიოდში გვქონდა კოვიდ–19-ით დაინფიცირებულთა 91 დადასტურებული შემთხვევა.

სულ პანდემიის პირველი დღიდან დღემდე, ხობის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია კოვიდ–19-ის ინფექციის 1816 დადასტურებული შემთხვევა, თვითიზოლაციაში გვყავდა 5680 ადამიანი, სამწუხაროდ, კოვიდ–19-ით 20 ადამიანი გარდაიცვალა, ასეულობით ადამიანს განუვითარდა და აწუხებს კოვიდ–19-ის შემდგომი გართულებები. დღესაც რამდენიმე ათეული ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე მკურნალობას გადის ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ქუთაისის და სხვა კოვიდ ცენტრებში.

უკანასკნელ პერიოდში თითქმის ყველა შეზღუდვები მოიხსნა, გარდა რეკომენდაციების დაცვისა, რომლის დაცვაც აუცილებელია. მოსახლეობამ გარკვეულწილად მოადუნა ყურადღება. ბევრი ადამიანი არამარტო ღია სივრცეში, დახურულ სივრცეშიც კი არ ატარებს პირბადეს, არ იცავს დისტანციას არ ხმარობს სპირტის შემცველ ხელის საწმენდ საშუალებებს. ისევ იმართება ხალხმრავალი ქელეხები, ქორწილები და სხვა სახის წვეულებები, არ ერიდებიან მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ყოველივე ამან გამოიწვია კოვიდ–19-ის შემთხვევების მატება.

ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწყობილ სივრცეში, გარდა კვირა დღისა, ყოველდღიურად მიმდინარეობს მოსახლეობის გაფართოებული ტესტირება სწრაფი მარტივი ტესტებით. ვიკვლევთ, როგორც სიმპტომიან, ასევე უსიმპტომო ადამიანებს, დადასტურებული შემთხვევების ყველა კონტაქტს. გეგმიურად ყოველ 14 დღეში ერთხელ პსრ ტესტირებას ვუტარებთ პოლიციის, დაცვის პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურების თანამშრომლებს, ტაქსის და სამგზავრო მიკროავტობუსების მძღოლებს, პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალს, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ საჯარო სკოლების მასწავლებლებს და სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალს. ყველა გამოკვლევა არის უფასო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ჯანდაცვის ცენტრი სწრაფი მარტივი და პსრ ტესტებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები. ამჟამად ასეთი გამოკვლევები წარმოებს ევექსის ხობის კლინიკაში, შ.პ.ს. „პულსში“, ჭალადიდის, ხეთის, პ/მაისის, ახალი ხიბულის, ბია–ზემო ქვალონის საექიმო ამბულატორიებში.

კოვიდ–19-ის ინფექციის გამოვლენილი თითოეული შემთხვევა ჯანდაცვის ცენტრის მიერ კონტროლზე არის აყვანილი. გამოვლენილი პაციენტების ოჯახის წევრი და სხვა ახლო კონტაქტები გადაგვყავს 12 დღიან თვითიზოლაციაში, თვითიზოლაციის წესების დაცვა მკაცრად კონტროლდება ჯანდაცვის ცენტრის და პოლიციის ხობის სამმართველოს მიერ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არის კომპლექსური ღონისძიებების გატარება კოვიდ–19-ის წინააღმდეგ, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენი მოსახლეობის პასუხისმგებლობაზე. თითოეულმა მათგანმა უნდა დაიცვას დაავადებათა კონტროლის მიერ დაწესებული რეკომენდაციები, აუცილებელია პირბადის ტარება მასობრივი თავშეყრის ადგილებში, 5 ადამიანის ერთად შეკრების დროს, აუცილებელია პირბადის ტარება ნებისმიერ დახურულ სივრცეში, ტრანსპორტში, თათბირებზე, ტრენინგებზე და სხვა. ყოველივე ამასთან ერთად უდიდესი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის აცრას კოვიდ–19-ის წინააღმდეგ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში 18 წლის ზემოთ უნდა აიცრას მოსახლეობის 60-70 პროცენტი, რომ შეიქმნას იმუნური ფენა. აცრების ჩატარება მოსახლეობას დაიცავს დაავადების მძიმედ განვითარებისგან და გარდაცვალებისგან, ჰოსპიტალიზაცია მათ არ დასჭირდებათ.

ხობის ჯანდაცვის ცენტრის მიერ შემოტანილია კოვიდ–19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები–სინოფარმი და სინოვაკი.

საქართველოში შემოტანილი ყველა ვაქცინა არის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სერთიფიცირებული, ავტორიზებულია და ყველანაირად უსაფრთხო.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვაძლევ რეკომენდაციას მიმართონ ქვეყნის მასშტაბით ამცრელ კაბინეტებს და ჩაიტარონ აცრები, რათა დავიცვათ არამარტო ჩვენი თავი, არამედ ჩვენი ახლობლები, ბავშვები, ნუ შევუქმნით საფრთხეს ჩვენს გარშემო მყოფთ, ყველამ ერთად მივიღოთ მონაწილეობა უსაფრთხო და ჯანმრთელი გარემოს შექმნაში.

აცრები ამ ეტაპზე ტარდება ხობის ევექსის კლინიკაში, მისამართზე გ. ჭყონდიდელის ქუჩა №2, ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით. ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეგისტრირდეს დამოუკიდებლად მითითებულ ელექტრონულ საიტზე, ან იგივე ამცრელ კაბინეტში, სადაც რეგისტრატორი უზრუნველყოფს აცრის მსურველის დარეგისტრირებას.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სოფელი

ახალი გამოწვევები

გვაძლიერებს

ხობის მუნიციპალიტეტში, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეული არის ტერიტორიულად ყველაზე დიდი, მასში შედის 3 სოფელი, კერძოდ: თორსა, დღვაბა, საბუკიო და „ოქროს საწმისის“ დასახლება.

2013 წლიდან დღემდე თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და თითოეულ მათგანს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სოფლისთვის.

აღსანიშნავია თორსა-დღვაბის დამაკავშირებელი 4,8 კმ. ბეტონის საფრიანი გზის რეაბილიტაცია, ასევე თორსა-საბუკიოს დამაკავშირებელი 1,6 კმ-იანი ბეტონის საფარიანი გზის რეაბილიტაცია.

თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა გაზიფიცირება. მოსახლეობა დღე-დღეზე ელოდება ქსელში შეერთებას და გამრიცხველიანებას.

თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა სამელიორაციო სამუშაოები დაახლოებით 350 ჰექტარ მიწის მასივზე. მთლიანად ამოიწმინდა მდინარე უტორის 10-კმ-იანი მონაკვეთი. სოფელ საბუკიოში განხორციელდა 3 მთავარი არხის ამოწმენდითი სამუშაოები და მოეწყო ხიდ-ბოგირები, ასევე კეთილმოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორია.

სოფელ თორსაში კეთილმოეწყო და გარემონტდა საბავშვო ბაღი, აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით. რემონტი ჩაუტარდა სოფლის ამბულატორიას. თორსის ცენტრში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 აპრილისა და სამამულო ომის შინმოუსვლელთა მემორიალებს. სოციალურად დაუცველ 3 ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი სახლის რემონტი, ორი ოჯახისთვის შეძენილიქნა საცხოვრებელი სახლის სახურავი. ასევე მოსახლეობას უფინანსდება საოპერაციო თანხის გარკვეული ოდენობა.

სოფლის მოსახლეობის თანადგომაში თავდაუზოგაობით გამოირჩევა თოირსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი მზია ლომონჯარია, რომელიც მისი უანგარო შრომით, მუდამ მოსახლეობის გვერდით დგას.

სოფელში, როგორც რეგიონში, უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული ღონისძიებები.

თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალის“ ფარგლებში გაშენდა მწვანე მოცვის პლანტაცია 20 ჰა-ზე, საიდანაც წელს უკვე მიიღეს პირველი მოსავალი.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2020 წელს ბატონ მიხეილ ღურწკაიას ძალისხმევით და თაოსნობით საძირკველი ჩაეყარა დიდ მამულიშვილურ საქმეს, დაიწყო და დასრულების სტადიაშია თორსის 1000 მოწამის სახელობის ეკლესია.

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (წარმომადგენელი გვანცა კიკალეიშვილი) დაფინანსებით და ადგილობრივი დეპუტატი ლევან ხელისუფლების თანადაფინანსებით გარემონტდა და კეთილმოეწყო სოფლის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, ასევე ამავე არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა მცირე სოციალური საწარმო „ჩირიგე“, რომელიც უკვე ფუნქციონირებს და ახალგაზრდული ტექნოლოგიური ცენტრი, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან მეწარმოების საფუძვლებს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული კუთხით.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ღელე „თოლისქურზე“ ხიდ-ბოგირების მოწყობა, სოფელ საბუკიოში სანიაღვრე არხის ამოწმენდა და სოფელ ღღვაბაში, გარკვეულ მონაკვეთზე, ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა.

დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით მოგვარდება ის მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რაც თორსა-ღღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ დრომდე გადაუწყვეტელია. ეს არის სასმელი წყლის დებეტის გაზრდა და შიდა სასოფლო გზების დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ცხოვრება სწორედ ამითაა საინტერესო, ახალი გამოწვევები, მიზნები გვაძლიერებს. ერთად დგომით კიდევ უფრო მეტ საქმეებს განვახორციელებთ იმ კუთხის საკეთილდღეოდ, რომელიც უპირველესად ჩვენთვისაა ძვირფასი.

ედემ ლატარია,
მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი თორსა-ღღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება!

პროგრამა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას მოიცავს.

პროგრამით დადგენილი პირობით, შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე განისაზღვრა შემდეგი პირობით.

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს 20,000 ლარამდე თანხას, თანადაფინანსება შეადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 35%-ს

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 20,000–ლარიდან 100,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს ღირებულების 35%.

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100,000 ლარს, თანადაფინანსება განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 30%.

ამავე პირობებით დაფინანსდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისგან“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის კომბაინების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განაცხადები მიიღება 2021 წლის სექტემბრიდან, ელექტრონული ფორმით. პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ აგვისტოს თვეში იქნება ხელმისაწვდომი.

გასულ კვირას ხობის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა სავარგულები, ეზოები, სასოფლო გზების ნაწილი,წყალი შევიდა რამდენიმე სახლის პირველ სართულზე.

მოვარდნილმა წყალმა ცენტრალურ გზაზე დროებით შეაფერხა საავტომობილო მოძრაობა. ადგილზე მობილიზებული იყო შესაბამისი სამსახურები და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ნატანი მასისაგან იწმინდებოდა გზები.

ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ მდგომარეობას მერიის სამსახურების წარმომადგენლები ადგილზე ეცნობოდნენ და ზარალს ითვლიდნენ.

ბატონო ჯაბა, ჩვენი გაზეთის მკითხველი (და არა მარტო) კარგად გიცნობთ თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე. სოციალურ ქსელზე არაფერს ვამბობ).

გაეცანით მათ და გთხოვთ ისაუბროთ იმ სიკეთეზე, რომელსაც გულით აკეთებთ, ეს არ არის მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობა, მაღალი პასუხისმგებლობა. არის რაღაც სხვა, ალბათ, გულისხმიერება და კეთილშობილება, რაც დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს...

ჩვენ, თქვენი გულშემატკივრები, ხშირად ვფიქრობთ, ალბათ, უფალი გაძლიერებთ...

უპირველესად რას იტყოდით?

მადლიერება- სიკეთის წილ...

–ჯაბა თოლორდავა დავიბადე ქ. ხობში 1987 წლის 23 აპრილს. (დედა პაშუში გახარია, მამა ჯუმბერ თოლორდავა). დავამთავრე ხობის №1 საჯარო სკოლა და თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხით. მყავს მეუღლე –ლანა ბიგვავა და 8 თვის ვაჟი გიორგი.

ვმუშაობ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში. ამავდროულად ვარ კომისიის წევრი.

სამსახურიდან გამომდინარე, მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ვარაზი გაბედავა და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი შოლინა კანკია და მე ვიყავით ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ყურაშვილების ოჯახში, მათ ჰქონდათ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები. იქ დაგვხვდა ულამაზესი და უსაყვარლესი და-ძმა.

ამ შეხვედრამ მომცა მოტივაცია, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი მათ. ეს სურვილი გავასაჯაროე სოციალურ ქსელში და მეგობრების დახმარებით დავიწყე მათთვის სახლის კედლების ამოშენება, რადგან ვიცოდი, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული სოციალური პროგრამის ფარგლებში, მერიას შეეძლო სახლი მხოლოდ გადაეხურა. მართლა ღვთის შეწევნით, ჩემი მეგობრების დახმარებით შევძელით კედლების ამოყვანა და და-ძმისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დაწვრილებით არ მოვყვები, რადგან არ მინდა მათ უხერხულად იგრძნონ თავი. რადგან მჯერა, რომ სიკეთე გულიდან მოდის და ჩუმად, უხმაუროდ უნდა აკეთო.

შემდეგ იყო მეორე საქველმოქმედო პროექტი ქვემო ქვალონში, სადაც ცხოვრობს ასაკოვანი, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, მარტოხელა ქალბატონი, რომლის სახლის კედლების აშენებას და გადახურვას გავუწიე ხელმძღვანელობა, რათქმაუნდა, კეთილი ადამიანების თანადგომით..

უნდა გითხრათ, რომ რამდენიმე ჩემი წარმატებული მეგობრების თანადგომით ამავდროულად საკვები პროდუქტებით ვეხმარები რამდენიმე მრავალშვილიან, სოციალურად

დაუცველ ოჯახს. ასევე პანდემიის პერიოდში მედიკამენტებით დავეხმარეთ ადამიანებს, რომელთაც აუცილებლად სჭირდებოდათ თანადგომა.

ჩემი საქმიანობა ყველასთვის საჯაროა სოციალური ქსელის მეშვეობით.

ყოფილა შემთხვევები, დაურეკავს სრულიად უცხო ადამიანს, მას არ მოუსურვებია ვინაობის გამხელა და ჩემი შუამავლობით დახმარებია რამოდენიმე ოჯახს საკვებით და პირველადი მოხმარების ნივთებით.

ძალიან მიხარია ხალხის პოზიტიური დამოკიდებულება ჩემდამი, ასევე ვცდილობ მაქსიმალურად სამსახურეობრივადაც და პირადადაც რაც შემიძლია, გვერდით დავუდგე იმ ადამიანებს, ვისაც სჭირდება სხვადასხვა სახის დახმარება. მათ ჩემს კოლეგებთან ერთად ვუმარტივებ პროცედურებს, ვაცნობ მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ პროექტებს და ვუწევ საჭირო დახმარებას.

ბევრისგან მსმენია ზურგს უკან ნათქვამი „საქმე არა აქვს, რას დაეძებს, დაანებოს თავი!“

მსგავს რეპლიკებს ყურადღებას არ ვაქცევ, მე ღმერთმა გადამიხადა ყველა სიკეთისთვის სამაგიერო, როცა გიორგობის თვეს გიორგის მამა გავხდი. კეთილი ადამიანების დახმარებით რამდენი რამ შევძელი. მიკვირს, რომ დავფიქრდები, თუმცა არაფერია იმაზე კარგი, რასაც სიკეთის კეთებისას შეიგრძნობს ადამიანი.

მადლობა ღმერთს, არსებობენ კეთილი ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ფიქრობენ თავიანთ სულიერ სიმაღლეზე, ვიდრე მატერიალურ ღირებულებებზე. ვფიქრობ, ადამიანი გამუდმებით უნდა ილტვოდეს სიკეთისკენ. ჩემი თხოვნა იქნება ყველას მიმართ, შეძლებისდაგვარად ვაკეთოთ სიკეთე, დავეხმაროთ ერთმანეთს, მეტად დავაფასოთ ერთმანეთი. მე კი მომეცა შესაძლებლობა, ჩემი ახალი სამსახურიდან გამომდინარე, მეტად გავუწიო დახმარება იმ ხალხს, ვისაც ეს ჭირდება. სიცოცხლეშივე მოვასწროთ ერთმანეთისთვის იმის თქმა, რომ გვიყვარს, რადგან სხვა თუ არავინ, ამ ყველაფერს უფალი ხედავს.

ვიყოთ კეთილები ყველას მიმართ, საკუთარი თავის ჩათვლით. პანდემიიდან გამოწვეულმა მდგომარეობამ დაგვანახა, როგორი წამიერია ცხოვრება.

გისურვებთ თითოეულ მკითხველს ჯანმრთელობას და წარმატებებს. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებითაც თითეულ იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, ვინც დამიდგა გვერდით და დღემდე არიან ჩემთან ერთად სიკეთის მკეთებლებლად.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს დისტანციური სხდომა გაიმართა.

სხდომაზე 2014–2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა და მიღება მოხდა.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია ხელმძღვანელობდა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობა სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა, რეგიონის მერებმა, საკრებულოს თავმჯდომარეებმა და მათმა მოადგილეებმა მიიღეს.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს რამდენიმე პროექტი. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და გასცა თანხმობა ზუგდიდში, ხობში, ჩხოროწყუსა და სენაკში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო განსახილველად:

ხობის მუნიციპალიტეტი

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში ცენტრიდან მდინარე ხობისწყლის ხიდამდე, გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სავარდიოს უბანში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ 1-ლ გურიფულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საპერტიოს უბანში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საგაბისონიოს უბანში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე, გვანცა კიკალეიშვილი უძღვებოდა.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთერთი ფორმის - სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის, ნაგვის ურნების შეძენის და ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსების საკითხები განიხილეს.

მრჩეველთა საბჭოს სხდომას მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს და მერს წარუდგენს სამოქალაქო ინიციატივებს, რეკომენდაციებს და მოსაზრებებს.

ნარმაზებული ხობელები

ვაჟა ფაფია *დაიბადა 1956 წელს ხობის რაიონის სოფელ ბიაში. შემდგომ მისი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოფელ ნოჯიხევში. 1973 წელს დაამთავრა ნოჯიხევის საშუალო სკოლა.*

1977 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1982 წელს დაამთავრა წარჩინებით. 1982 წელს მუშაობა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრაზე. შემდეგ უნივერსიტეტში მუშაობდა ლაბორანტად, მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად.

1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებაში თემაზე–„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა და მისი დამკვიდრების პირობები“. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ამჟამად ცხოვრობს ზუგდიდში.

არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ვაჟა ფაფია სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას, არის ორი პოეტური კრებულის ავტორი.

ამაწინათ ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა მისი ლექსების კრებულის „ჟამი“ პრეზენტაცია. ამ კრებულში ავტორის უმთავრესი მესიჯი საზოგადოებისადმი არის: „უსიყვარულობის ჟამი, უნდა შეცვალოს სიყვარულის ჟამმა“.

ჰყავს ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

გთავაზობთ ვაჟა ფაფიას რამდენიმე ლექსს მისი კრებულებიდან:

სიკვდილის შემდეგ

ბოდიალობენ ხმები მკვნესავი,
ურჯულო უვიცს რაღაც შეემთხვა...
იმ გაზაფხულის მინდა მოხმობა,
სიკვდილის შემდეგ,
რომ არ შემხვდება...
ზეცამ მოჰფინა ნათელი მნათებს
და მათთან ღამე იწყებს შეჩვევას...
მე იმ მთვარესთან მინდა ბაასი,
სიკვდილის შემდეგ,
რომ არ შეწყდება...
დილის ფარდები მზემ გადასწია,
უფლის ლოცვები მიწიერს წვდება...
სხივიან მზესთან მინდა გათბობა,
სიკვდილის შემდეგ, თუ გამოჩნდება...
განაწამები, დღე პატიმარი,
თავს მოიტყუებს... მეტსაც გაბედავს...
ამ ცოდვისმქმნელ დღეს
მინდა შევუნდო,
სიკვდილის შემდეგ, რომ
არ შემხედავს...
ჯოხით გზას იკვლევს აქ უსინათლო,
მთელი ცხოვრება ვერაფერს ხედავს...
ძალიან მინდა, მე რომ მას შევხვდე,
სიკვდილის შემდეგ როცა დამხედავს...
მთიდან ჩანჩქერად გადმოფრქვეულო,
მსურს, სიყვარულის სახელი გერქვას...
მე მომინდება შეხვედრა მასთან,
სიკვდილის თვალებს, როცა ჩახედავს...
ზეცა დაფარა შავმა ღრუბლებმა...
სული არ მტოვებს, სიკვდილს
არ მაცლის...
მინდა, რომ დავთვრე იმ მეგობრებთან,
ვინც გამიხსენებს, მიწას დამაყრის...
სიზმარი მღერის ხმაწართმეული,
ძალით გარღვეულ სიყვარულს ჯერავს...
იმ სიყვარულთან გავიხიზნები,
სიკვდილის შემდეგ სულს რომ
შთამბერავს..

დარჩები მარტო

რას ველოდები... ან რას უნდა
ელოდოს ჯაცი...
ველოდები დაუსრულებელ მოლოდინს...
ბოლომდე ვღეჭავ და უცნობია
ჯიდევ რამდენი უმად დაღეჭავს...
არავინ იცის რა მოხდება ხვალ,
ვერავინ იტყვის სადაა ლოდინის
დასასრული...
ჩვენ ხომ უსასრულობა გვიყვარს,
შედეგის უსასრულობა...
ოთახში შემოსული მზე მაგიდაზე
წამოწოლილა...
არ ინანოთ ის, რაც მოხდა...
ხოლო მოსახდენს აუცილებლად ინანებთ,
რადგან მოხდება ის, რასაც არ ელით....
ნუ ეკითხები მიზეზს სამყაროს,
არ გიპასუხებთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს
და თუ პასუხს ვერ მიიღებთ
ფროიდისეულ შიშს ჰყავხართ აყოლილი...
თუ სხვის შუქს აქრობ, საკუთარს
ვერ აანთებ...
ლურჯი ცა არ მოსწონს გველეშაპს...
ვეკითხები სმენადქცეული -
მითხარით გეთაყვა, პირდაპირ,
ან ირიბად, ან შეპარვით...
ზეცაში ხომ არ ჩააქრობთ მნათებს?
თუ გააკეთებთ არ დაგიჭერენ?
-ვინც ბევრს კითხულობს მას დაიჭერენ...
თუ არ შეწყვეტ კითხვების დასმას, შენც...
მსურს, ვიცხოვრო ყველა დროში,
თუმცა ისინი გამრუდდა...
მოვდივარ შენთან
დროთა გარეშე...
დამჩხავის ყვავივით წლები ბებერი,
მაინც მხნედ ვარ უფლის წყალობით...
არ დავნებდები ბოჭვებს, ნაბზარებს,
სახსრებს,
თუმცა დაღმასვლას მაინც ვგრძნობ...
მინდა ჩავიკეტო, ვიბორძიკო,
ვწრიალებ საკუთარ ტყავში...
მჭირდება ნოეს კიდობანი ფრთებით,
რომელიც გაფრინდება ზეცაში...
მხოლოდ შენ მიშველი ჩემო უსასრულობავ!
იჩქარე... შეწყვიტე ლოდინი...
მოდი, სანამ მოხვეული წყვარამი წამიყვანს...
თორემ მერე იქნება გვიან და
დარჩები მარტო.

ტირიფი

ვითარცა თმები ჩამოუშვია ტოტები მხრებზე.
რატომ ტირიხარ... ნაწნავს დაგიწნავ,
მოგეფერები.
შენი ცრემლები ნამის წვეთებად ეწვეთებიან.
ჩემო ტირიფო, ორივეს სევდას,
ვერ მოვერევი.
წვრილი ფოთლების ჩუმი შრიალი
თრთოლვით ჩამესმის...
გრძელი ტოტები, ჩამოშვებული,
წყალში სველდება.
რატომ აცრემლდი, მდინარის პირას,
შენ სევდიანი...
მინდა გავიგო, რადგან კითხვები
აღარ მნებდება.
ტირის ტირიფი, გულჩათუთქული,
ჩუმად და მარტო.
ჩურჩულებს ღამით, საით მიცურავს
მისი ფიქრები...
წყალში უყურებს, თავის ანარეკლს,
უნაზეს ფოთლებს,
ნაღვლიან ჩურჩულს და მცურავ ფიქრებს
ფიქრით მივყვები.
ვითარც ტანადი მანდილოსანი,
გაშლილი თმებით,
ის მდინარესთან ამაყად დადგა,
სულის ვედრებით.
აღარ მეგონა,ეს სილამაზე,
ასე ტიროდა.
აქ დინებაში უხმოდ ქრებიან
მისი ცრემლები.
მგონი, დაკარგულ სიყვარულს გლოვობს,
ცრემლის სინაზეს.
მას ეს ცრემლები და სევდა ტრფობის
ისევ ეწვევა.
ტირიფის სევდის ბროლისფერ წვეთებს
პეშვით ვაგროვებ.
მასთან დავრჩები, სანამ სიკვდილი
არ დამეწვევა.

13 ივნისს თბილისში სტიქიის დროს დაღუპულთა ხსოვნას

წყალწაღებული ზეცის საფარქვეშ
სეტყვა აზღვავდა,
მსხვილი მარცვლები სერავენ სავალს,
ნატყვიარივით მისი საფარი,
ნასვრეტიანიც ვერ იტევს ჯაჯალს.
ვენებგახსნილმა ცუნდრუკმა სეტყვამ,
ფრთები შეასხა თქეშის სამკვიდროს,
ისევ მისნობით დრტვინავს თილისმა
და ნიაღვარი იცვლის ჯალაპოტს.
ზვავი, ღვარცოფი, აშლილი შტორმი,
დატბორილები, დაღუპულები,
ხელში უჭირავს ჯაცს მაიმუნი,
ზოოპარკს მოსწყდნენ ტყის
ბინადრები.
მანქანა, ძროხა ირგვლივ დაფრინავს,
დაკარგულ სულებს რა ეშველება...
შტორმმა ახვეტა ზღვის სამოსახლო,
ნუთუ დუნიას წარღვნა ეწყება...
უხვი ნალექი, წყალდიდობები,
თავის ბადეში ოხრავს ობობა,
ვერ უმკლავდება ბუნების ქარცეცხლს,
წყალწაღებული კაცობრიობა.

დოკუმენტი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

გეოგრაფიული აღნიშვნა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი–საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ასოციაცია–ხეთის მანდარინის მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ხეთის მანდარინი

სპეციფიკაცია

განაცხადის№3503/7

განაცხადის შეტანის თარიღი: 2020 24 11

გეოგრაფიული აღნიშვნა: ხეთის მანდარინი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია: მანდარინი

განმცხადებლის სახელი და მისამართი: ასოციაცია „ხეთის მანდარინი“

ხობის მუნიციპალიტეტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული.

3. სპეციფიკაცია:

3.1. დასახელება: ხეთის მანდარინი

3.2. აღწერა:

გეოგრაფიული აღნიშვნა „ხეთის მანდარინი“ გამოიყენება „უნშიუ“ (C. Unshin. Mark.) ჯიშის, უფრო ზუსტად, მრავალი წლის მანძილზე ადგილობრივი აგროკლიმატური ფაქტორების ზეგავლენით შექმნილ სახესხვაობის ქართული მანდარინისათვის.

სარეალიზაციოდ გატანისას ხეთის მანდარინს უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები:

ფიზიკური მახასიათებლები:
ზომა: არანაკლებ 54 მმ;
წონა: არანაკლებ 60 გრ;
კანი: ადვილად მოცილებადი;

სეგმენტები ერთმანეთისაგან ადვილად განცალკევებადი, სეგმენტების რაოდენობა 9-13. პრაქტიკულად უთესლო.

ქიმიური მახასიათებლები:
წვენის შემცველობა: 30-40%;
შაქრის შემცველობა: >8,7 Brix;
მჟავიანობა: 0,9-1%.

ორგანოლეპტიკური მახასიათებლები:
ფორმა: სფერული ან შებრტყელებულ-სფერული;
ფერი: ოქროსფერ-ყვითელი, რომელიც სიმწიფესთან ერთად გადადის ნარინჯისფერში;
გემო: გამახალისებელი მომჟავო-მოტკბო, დაბალანსებული შაქრიანობა მჟავიანობის თანაფარდობითა და მკაფიოდ გამოხატული არომატით.

გარდა ამისა, ხილი უნდა იყოს ჯანსაღი (უნდა გამოირიცხოს ხილი, რომელსაც დაწყებული აქვს ლპობა, მოკიდებული აქვს ობი, ან სხვაგვარად არის დაზიანებული); იყოს სუფთა, თავისუფალი ყოველგვარი უცხო ნივთიერებისაგან; უცხო სუნისა და გემოს გარეშე.

3.3. წარმოების გეოგრაფიული არეალი

წარმოების ტერიტორია მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ხეთას, ლარჩვასა და ოხვამეკარს. სულ მანდარინის პლანტაციის ფართობი 125 ჰექტარია.

3.4. კავშირი გეოგრაფიულ გარემოსთან

ხეთის მანდარინის განსაკუთრებულობა, უნიკალურობა და მაღალი ხარისხი განპირობებულია რიგი ფაქტორებით. ციტრუსოვანთა ბაღები გაშენებულია ურთის მთის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 30-80 მეტრ სიმაღლეზე, რომელიც ღიაა შავი ზღვის მხრიდან და არ ხდება ჰაერის ცივი მასების დაგუბება ინვერსიის დროს. ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სითბო სავეგეტაციო პერიოდში მეტია, ვიდრე საქართველოს ციტრუსოვანთა გავრცელების სხვა ზონებში.

გეოგრაფიული არეალი ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, უხვი, არაჭარბი ნალექებით (საშუალო წლიური ნალექები წლის განმავლობაში შეადგენს 1700–1800 მმ, ჰაერის ოპტიმალური ფარდობითი ტენიანობა–74-85%), აქტიურ ტემპერატურათა ჯამი უდრის 3500-5000 C, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +14.8 C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, რომლის საშუალო ტემპერატურაა +6.7C.

ზღვის სიახლოვე ძლიერ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურის დღე-ღამურ ცვლილებაზე (დღიდან ღამისკენ). ფლუქტუაციები განსაკუთრებით მკვეთრია შემოდგომაზე, როდესაც ზღვის ტემპერატურა ხშირად აჭარბებს გარშემო ჰაერის ტემპერატურას. ტემპერატურის ასეთი ფლუქტუაციები უშუალოდ ახდენს ზეგავლენას ხილის ფერზე, ნაყოფის თანაბარ და ადრეულ დამწიფებაზე, აგრეთვე, ხელს უწყობს შაქრიანობა-მჟავიანობის ოპტიმალურ ბალანსს.

გეოგრაფიული არეალის ნიადაგები, ძირითადად, ნეშომპალა-კარბონატულია. ამ ნიადაგებს ახასიათებს მცირე სისქე, ძლიერი ხირხატიანობა და ჰუმუსის შემცველობა, რომელიც ხშირად 9-10% აღწევს. ნახშირმჟავა კირის შემცველობის გამო, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების რეაქცია ზედა ფენაში ოდნავ ტუტეა და ზოგჯერ სუსტად მჟავეც.

მექანიკური შემადგენლობის მხრივ ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების უმეტესობა თიხებს უახლოვდება, მაგრამ დიდი ხირხატიანობა ხელს უწყობს მათ კარგ წყალგამტარიანობას. ასეთი ნიადაგები დიდ გავლენას ახდენს ნაყოფის ქიმიურ შემადგენლობაზე და მაღალ ხარისხზე.

მანდარინი მიეკუთვნება ციტრუსოვანთა გვარის მარადმწვანე მცენარეთა ჯგუფს, ტეგანისებრთა ოჯახს, რომლის ბოტანიკურ სამშობლოდ სამხრეთ ჩინეთი და სამხრეთ ინდოჩინეთი ითვლება. დასავლეთ საქართველოში პირველად 1885 წელს იტალიური მანდარინი (Citrus deliciosa) შემოიტანეს, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, 1896 წელს შემოიტანეს იაპონური მანდარინი უნშიუ (C. Unshiu Marc), რომლის სამრეწველო მნიშვნელობით გაშენება დაიწყო 1901 წლიდან. ხობის რაიონის ტერიტორიაზე მანდარინის გავრცელება დაიწყო 1930-იანი წლებიდან.

იაპონიაში „Unshiu“ მანდარინების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს განსხვავებული აგროკლიმატური ფაქტორების ხანგრძლივმა ზეგავლენამ და „Unshiu“ მანდარინის მემკვიდრულმა თვისებებმა მანდარინის თავისებური ადგილობრივი ფორმები შექმნა. შედეგად ქართული მანდარინებისათვის ძველი სახელწოდება „იაპონური მანდარინი“ აღარ გამოიყენება.

ხეხილის მოვლის დიდი ხნის ტრადიციამ, რომელიც თითქმის ერთ საუკუნეს ითვლის, და ახალი ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ მანდარინის ნარგავების ფართობების გავრცელებაში, არამედ, ასევე, მისი ხარისხის გაუმჯობესებაში.

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებში უამრავი ცვლილებების მიუხედავად, გეოგრაფიული არეალისა და გაშენების ტრადიციული ყველა ძირითადი ელემენტი უცვლელი დარჩა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება პროცესების ტექნიკურ დამხმარე საშუალებებს (გასხვლა, ვარჯის ფორმირება, ველური ნაზარდების მოცილება, ახალგაზრდა ნარგავისაგან ნაყოფების მოცილება).

3.5. პროდუქციის წარმოება

ხეთის მანდარინი ამ გეოგრაფიულ არეში იკრიფება 10-15 დღით ადრე ოქტომბრის დასრულებამდე. მანდარინის კრეფა იწყება მაშინ, როცა კანის 2/3 გაყვითლდება. მანდარინის კრეფა ხდება ხელით, სპეციალური მაკრატლით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს აქაურ რთულ რელიეფურ პირობებში ნაყოფის დაუზიანებლად მოკრეფას და მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. განოყიერების მიზნით, მანდარინის ნიადაგში გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. გაზაფხულზე შეაქვთ აზოტიანი სასუქების 60% ყვავილობამდე, 40% –ყვავილობის შემდეგ.

7

დოკუმენტი

მინერალური და ორგანული სასუქებით ხეთის მანდარინის გამოკვების სქემა (ერთ ძირზე)

6

სასუქის სახეობა	საშუალო რაოდენობა ხნოვანების მიხედვით		
	1-5 წლამდე	6-10 წლამდე	10 წლის ზემოთ
ორგანული	25 კგ	40 კგ	60 კგ
აზოტი	30-80 გრ	100-150 გრ	200-250 გრ
ფოსფორი	150 გრ	300 გრ	
კალიუმი	50 გრ	100-120 გრ	
მაკროელემენტები	30-50 გრ	80-150 გრ	200-250 გრ

მაქსიმალური პროდუქტიულობის, ზრდისა და მსხმოიარობის უზრუნველსაყოფად, მანდარინის მცენარეს ადრე გაზაფხულზე უტარდება სხვლა, ზედმეტი ახალგაზრდა ყლორტების გამეჩხერება, მოზარდი წვერების მოცილება-პინცირება, წაჩქმეტა, ძველი ტოტების გასხვლა ან, როგორც მას უწოდებენ, გასხვლა შენაცვლებაზე, ყვავილების ნორმირება, რაც, ასევე, ხელით სრულდება, და სასუქებით გამოკვება მოცემული სქემის მიხედვით.

გეოგრაფიულ არეში წლის განმავლობაში მანდარინის ზღვრული საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 30 ტონას.

3.6 პროდუქციის დაფასოება

ხეთის მანდარინის ნაყოფს აყალიბებენ დიამეტრის მიხედვით 4 ჯგუფად:

I ჯგუფს ეკუთვნის 70 მმ და მეტი;

II ჯგუფს ეკუთვნის 70-65 მმ;

III ჯგუფს ეკუთვნის 65-60 მმ;

IV ჯგუფს ეკუთვნის 60-54 მმ.

ნაყოფის შემფუთავ პავილიონებში ციტრუსოვანთა ყველა ნაყოფი უნდა დახარისხდეს. ნაყოფის დაყალიბება წარმოებს სპეციალურ დამყალიბებელ მანქანებზე ნაყოფის დიამეტრის მიხედვით. ნაყოფს აწყობენ უნივერსალურ ყუთებში, რომელსაც აქვს შემდეგი ზომები: სიგანე-36 სმ, სიმაღლე 13 სმ და სიგრძე 58 სმ.

ყუთში იწყობა ერთნაირი ყალიბებისა (I-დან IV ჯგუფის) და სასაქონლო ხარისხის ნაყოფი. ინახება მხოლოდ მშრალი ნაყოფი. შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 3-5 C, ოპტიმალური ტენიანობა 80-85%. ნაყოფი ინახება იატაკიდან 20-25სმ სიმაღლეზე. უნდა ხდებოდეს საცავის ხშირი განიავება ჰაერის ნაკადით, ნაყოფის დანესტიანების თავიდან ასაცილებლად. ჩაწყობის შემდეგ შემფუთავი ყუთის ერთ გვერდზე აღნიშნავს ნაყოფის რაოდენობას, ხარისხს, შეფუთვის დროს და საკონტროლო ნომერს, მწარმოებლის მითითებით. ამის შემდეგ ყუთები იგზავნება საცავში ან სარეალიზაციოდ.

ყველაზე ნაკლები დანაკარგები აქვს საცავში ნაყოფის ქაღალდში შეხვევისას და მისი შენახვა შესაძლებელია მოკრეფიდან 3 თვის განმავლობაში, ხოლო ქაღალდში შეხვევის გარეშე მანდარინი ინახება 4 კვირამდე.

3.7. პროდუქციის ეტიკეტირება

სარეალიზაციო ან შენახვისათვის განკუთვნილ ტარაზე მოთავსებული უნდა იყოს გეოგრაფიული აღნიშვნის ლოგო და სიტყვები: ხეთის მანდარინი

ლათინური შრიფტით: **KHETA TANGERINE**

რუსული შრიფტით: **ХЕТИНСКИЙ МАНДАРИН**

3.8. მაკონტროლებელი ორგანო:

პროდუქტის „ხეთის მანდარინი“ სპეციფიკაციასთან შესაბამისობის ოფიციალურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კონკრეტულად სურსათის უვნებლობის სააგენტო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ლეკვეიშვილი, ი. ბერაია, „სუბტროპიკული კულტურები“;
2. ი. ლეკვეიშვილი, „ციტრუსოვანთა წარმოების მეცნიერული საფუძვლები“;
3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, „სუბტროპიკული კულტურები“;
4. ვ. თოფურიძე, მ. ტაბლიაშვილი, ვ. შანიძე, „ციტრუსი“;
5. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი. მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“. საქართველოს სსრ ხობის რაიონის მიწათმოწყობის სქემა;
6. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ციტრუსის აგროტექნოლოგია“; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა მანდარინის წარმოებაში“;
7. დ. გაბუნია, მ. კვიმსაძე, ე. გაბუნია „გეოგრაფიული აღნიშვნები ხარისხი და განვითარება“.



დღეს ქალაქი ხობი 40 წლის გახდა, გილოცავთ!

ქალაქის ცენტრალური მოედანი

ექსპრომტი ქალაქ ხობს

რა დიდხანს იყავ ქვეყნად
ხოფლი,
რა დიდხანს გერქვა სახელი
დამის!
როგორ ნაცრობდა ყველა
ხობელი,
დაედგა შენთვის გვირგვინი
დათნის!
გამოგაჩინა შენმა
საქმემან
და უფრო დიდი გაქვს
დასახელი...
დღეიდან შენი მოქალაქე
ვარ
შენი დიდების ერთი
მსახური.
მადლობელი ვარ, რომ
ამაღელვე
და გამიცოცხლე ცრმობის
ფიქრები.
მრბანე, მაუწყე, მთხოვე,
მიმღერე–
შენთან ვიყავ და შენთან
ვიქნები.

ხუტა ბერულავა

3 ნოემბერი 1981 წელი

მადლობას ვუხდით ბატონ ირაკლი შონიას ფოტოების მოწოდებისთვის

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.